



დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

(II წარდგენა)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დასკვნა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 139-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 40-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის, თანდართული მასალებისა და განახლებული საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმოადგენს მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:


- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძველიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსია. კანონპროექტით წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზები წინა ვერსიის ანალოგიურია. პროგნოზებში ასახულია მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. კერძოდ, სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, **რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)** ზრდამ 2022 წლის პირველ კვარტალში 14.9%, მეორე კვარტალში 7.1%, ხოლო 8 თვის საშუალო მაჩვენებელმა 10.3% შეადგინა. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტით 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0%-დან 8.5%-მდე გაიზარდა.


დიაგრამა 1. რეალური ეკონომიკური ზრდა - 2020-2022 წწ. (%)



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური; * აღნიშნავს წინასწარ შეფასებას.

2022 წლის ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი ასევე განაზღვდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ ივლისი-სექტემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშებში. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) მაჩვენებელი 5.8 პროცენტული პუნქტით 9.0%-მდე გაზარდა, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) 3.5 პროცენტული პუნქტით - 7.0%-მდე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 5 პროცენტული პუნქტით - 8.0%-მდე, Fitch-მა 5.4 პროცენტული პუნქტით - 10.9%-მდე, Standard & Poor's-მა 3.0 პროცენტული პუნქტით - 8.0%-მდე. ასევე, 9.0%-მდე დაკორექტირებული პროგნოზი წარმოადგინა საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც.

დიაგრამა 2. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) განსაზღვრული და საფინანსო ინსტიტუტების/სარეიტინგო სააგენტოების 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები საქართველოსთვის.¹



წარმოდგენილი კანონპროექტით მშპ-ს დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 10.5%-ს შეადგენს (ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრული პროგნოზია 4.5%). ასევე, განახლდა სამომხმარებლო ფასების ინფლაციის საშუალოწლიური და პერიოდის ბოლოსთვის არსებული მაჩვენებლების პროგნოზი, რომლებიც შესაბამისად, 11.5%-ისა (ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრული პროგნოზია 4.5%) და 9.3%-ის (ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრული პროგნოზია 2.5%) დონეზე განისაზღვრა. ინფლაცია მიზნობრივ 3.0%-იან ნიშნულს 2024 წელს უბრუნდება.

ცხრილი 1. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - 2021-2022 წწ.

მაჩვენებელი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტის კანონი	2022 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (II წარდგენა)
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	10.4%	6.0%	8.5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	60,232	64,832	72,215
მშპ-ს დეფლატორი	10.8%	4.5%	10.5%
სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია (პერიოდის საშუალო)	9.6%	4.5%	11.5%
სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია (პერიოდის ბოლოს)	13.9%	2.5%	9.3%
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (პროცენტულად მშპ-სთან)	10.1%	7.6%	6.9%

¹ BDD, წინა პროგნოზი - ნოემბერი, 2021; განახლებული პროგნოზი - სექტემბერი, 2022; IMF, წინა პროგნოზი - ივნისი, 2022; განახლებული პროგნოზი - სექტემბერი, 2022; ADB, წინა პროგნოზი - აპრილი, 2022; განახლებული პროგნოზი - სექტემბერი, 2022; EBRD, წინა პროგნოზი - მაისი, 2022; განახლებული პროგნოზი - სექტემბერი, 2022; Fitch, წინა პროგნოზი - თებერვალი, 2022; განახლებული პროგნოზი - ივლისი, 2022; S&P, წინა პროგნოზი - თებერვალი, 2022; განახლებული პროგნოზი - აგვისტო, 2022; NBG, წინა პროგნოზი - მაისი, 2022; განახლებული პროგნოზი - აგვისტო, 2022.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პროგნოზი ნომინალურ გამოსახულებაში 97 მლნ აშშ დოლარით იზრდება და 1.7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, თუმცა მისი მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით მცირდება და 6.9%-ს უტოლდება, რაც ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელზე მაღალი ზრდით არის გამოწვეული. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის პროგნოზს, საქონლის ექსპორტი 1.1 მლრდ აშშ დოლარით (18.1%-ით), ხოლო საქონლის იმპორტი 1.7 მლრდ აშშ დოლარით (16.9%-ით) იზრდება და შესაბამისად, 7.1 მლრდ და 11.6 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება. მიმდინარე წლის მონაცემებით, რვა თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ექსპორტი 963 მლნ აშშ დოლარით (36.9%-ით), იმპორტი კი 2.2 მლრდ აშშ დოლარით (36.5%-ით) გაიზარდა.²

ბიუჯეტის კანონპროექტს თან ახლავს „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ განახლებული დოკუმენტი, რომელიც გასული პერიოდების ანალოგიურ დოკუმენტებთან შედარებით ხარისხობრივად გაუმჯობესებულია და მოიცავს ინფორმაციას კანონის მომზადების ეტაპზე იდენტიფიცირებული რისკების რეალიზების შესახებ.³ აღსანიშნავია, რომ ცვლილების ფარგლებში წარმოდგენილია დამატებითი რისკი - მსოფლიოში მოსალოდნელი რეცესია. ამასთან, დოკუმენტი აღარ ითვალისწინებს წინა რედაქციაში ასახულ „გაზრდილი გლობალური ვალიდან“ და „გლობალურ მომხმარებელთა ქცევიდან“ მომდინარე რისკებს. როგორც კანონპროექტშია განმარტებული, რისკების აღნიშნული წყაროები აღარ არის აქტუალური, ვინაიდან მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია განახორციელა, რომელიც 2022 წელსაც გრძელდება. ამასთან, 2021-2022 წლებში გაიზარდა გლობალური მოხმარების დონე.

საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ეკონომიკური რისკების ანალიზი, ძირითად შემთხვევაში, არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას რისკების სხვადასხვა ხარისხით მატერიალიზაციის ეკონომიკურ პარამეტრებზე გავლენის შესახებ. ამასთანავე, IMF-ის მიხედვით, ეკონომიკურ რისკებს შორის შესაძლოა არსებობდეს სისტემური კავშირი, რაც სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარე რისკების კონკრეტულ ეკონომიკურ ინდიკატორზე ერთობლივ ზემოქმედებას გულისხმობს. რისკებს შორის სისტემური კავშირების დადგენა საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტულ ეკონომიკურ ინდიკატორზე მათი ზეგავლენის ერთობლივი ეფექტი.⁴

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, დოკუმენტში წარმოდგენილი რისკ-ფაქტორები და მათი ეფექტები ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ინდიკატორებს, რაც შესაძლებელს გახდის მოცემული შოკების რეალიზაციის შეფასებასა და ანალიზს.

კანონპროექტით განახლდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლებიც. ერთიანი


² 2019 წელთან შედარებით 2022 წელს ექსპორტი გაზრდილია 1.1 მლრდ ლარით (47.0%-ით), იმპორტი - 2.4 მლრდ ლარით (39.4%-ით).

³ დოკუმენტში წარმოდგენილი რისკებია: პანდემიის გამწვავება, ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება, გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება, რეგიონული რისკები, გაზრდილი გლობალური ვალი, გლობალური მომხმარებელთა ქცევა, მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრება.

⁴ IMF, Fiascl Transparency Handbook, 2018 გვ. 98


ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი კანონპროექტის წინა ვერსიის ანალოგიურია და 2.2 მლრდ ლარს (მშპ-ს 3.1%) შეადგენს. ცვლილება განიცადა დეფიციტის ცალკეულმა კომპონენტებმა. კერძოდ, ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობები, შესაბამისად, 49 და 55 მლნ ლარით გაიზარდა. არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი კი 6 მლნ ლარით შემცირდა.

დიაგრამა 3. 2022 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებლები (მლნ ლარი).



კანონპროექტზე თანდართული საშუალოვადიანი პროგნოზით (საბაზისო სცენარით), ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 2022 წელს უახლოვდება ორგანული კანონით დადგენილ 3.0%-იან ზღვარს და ლიმიტის ფარგლებში 2023 წელს ბრუნდება.

დიაგრამა 4. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი (%-ული წილი მშპ-სთან).




IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის⁵ მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელიც მცირდება, 4.4%-დან 3.2%-მდე. საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელიც ინარჩუნებს კლებად ტენდენციას (2023 – 2.8%; 2024 – 2.3%; 2025 – 2.3%; 2026 – 2.2%).

⁵ მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელი GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით მოიცავს ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც.

რაც შეეხება ვალის წესის მიზნისთვის დათვლილ მაჩვენებელს, მისი საპროგნოზო მნიშვნელობა ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულ ნიშნულთან (51.7%-თან) შედარებით 11.6 პროცენტული პუნქტით მცირდება, 40.1%-ს უტოლდება⁶ და ორგანული კანონით დაწესებული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია. მაჩვენებლის გაუმჯობესება ერთი მხრივ, განაპირობა ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდამ, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის შემცირებამ. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაში PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი განსაზღვრულია 0.01%-ის დონეზე. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 0.5%-ს შეადგენს.

ვალის წესის მიზნისთვის დათვლილი მაჩვენებლის დადებითი ტენდენციის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ მისი გაანგარიშებისთვის გამოყენებული მთავრობის ვალის მაჩვენებელი არ მოიცავს იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც IMF-ის რეკომენდაციით ფინანსთა სამინისტროს მიერ 2020 წელს დაკლასიფიცირდა როგორც სამთავრობო სექტორის ნაწილი. ასეთი საწარმოების ვალდებულებების მოცულობა 211 მლნ ლარსა (2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით) და 2022 წლის მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 0.3%-ს შეადგენს. თუ ვალის წესის მიზნისთვის დათვლილ საპროგნოზო მაჩვენებელს (მშპ-ს 40.1%) დავუმატებთ სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს, იგი 40.4%-მდე გაიზრდება. მიზანშეწონილია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებების გათვალისწინება ვალის წესის მიზნისთვის დათვლილი მაჩვენებლის გაანგარიშებაში.

დიაგრამა 5. ვალის წესის მიზნისთვის დათვლილი მაჩვენებელი (%-ული წილი მშპ-სთან).



* 2022 წლის მოცემული მაჩვენებელი დამატებით ითვალისწინებს სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს.

⁶ მოიცავს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან“ (PPP პროექტები) მომდინარე ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას 395 მლნ ლარის ოდენობით (მშპ-ს 0.5%).

კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით უცვლელია 2022 წლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი, რომელიც 19.9 მლრდ ლარს უტოლდება და 490 მლნ ლარით (2.5%-ით) აღემატება ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს. პირველ წარდგენასთან შედარებით 27.5 მლნ ლარით იზრდება გადასახდელების მოცულობა და 19.7 მლრდ ლარს შეადგენს. შესაბამისად, მცირდება ნაშთის დაგროვების გეგმური მაჩვენებელი, რომელიც 173.7 მლნ ლარს უტოლდება (ნაცვლად 201.2 მლნ ლარისა). წლის ბოლოს, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის საპროგნოზო მაჩვენებელი 1.1 მლრდ ლარია. აღნიშნული თანხიდან 594 მლნ ლარი განთავსებულია კომერციული ბანკების 10 წლიან სადეპოზიტო სერთიფიკატებში.⁷

ცხრილი 2. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები (მლნ ლარი).

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის კანონი	2022 წლის კანონის ცვლილების პროექტი (II წარდგენა)	ცვლილება	ცვლილება (%)
შემოსულობები	19,363	19,852	490	2.5%
შემოსავლები	14,560	15,761	1,200	8.2%
არაფინანსური აქტივების კლება	300	300	0	0.0%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	150	150	0	0.0%
ვალდებულებების ზრდა	4,352	3,642	-711	-16.3%
გადასახდელები	19,171	19,679	508	2.6%
ხარჯები	14,415	15,123	708	4.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,060	3,212	152	5.0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	459	257	-202	-44.1%
ვალდებულებების კლება	1,237	1,087	-150	-12.1%
ნაშთის ცვლილება	192	174	-18	-9.3%

შემოსულობების ნაწილში ბიუჯეტის მოქმედ კანონთან შედარებით 1.2 მლრდ ლარით (8.2%-ით) იზრდება შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის 1 მლრდ ლარით (7.8%-ით) მატებითაა გამოწვეული.

ამასთანავე, იზრდება ყველა საგადასახადო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი. ყველაზე დიდი მატებით ხასიათდება დამატებული ღირებულების (იზრდება 428 მლნ ლარით, 7.9%-ით), საშემოსავლო (იზრდება 291 მლნ ლარით, 6.8%-ით) და მოგების გადასახადები (იზრდება 209 მლნ ლარით, 12.9%-ით).

⁷ განთავსება განხორციელდა 2020 წლის ივნისსა და ივლისში, ხოლო ვადა იჭურება 2028 წლის იანვარში.

ცხრილი 3. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მლნ ლარი).

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის კანონი	2022 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (II წარდგენა)	ცვლილება	ცვლილება (%)
საგადასახადო შემოსავლები	13,424	14,473	1,049	7.8%
საშემოსავლო გადასახადი	4,300	4,591	291	6.8%
მოგების გადასახადი	1,620	1,829	209	12.9%
დღგ	5,399	5,826	428	7.9%
აქციზი	1,890	1,985	95	5.0%
იმპორტის გადასახადი	85	112	27	31.8%
სხვა გადასახადები	130	130	0	0.0%
გრანტები	342	343	1	0.3%
სხვა შემოსავლები	795	945	150	18.9%

გრანტების კომპონენტი იზრდება 0.9 მლნ ლარით, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია ცენტრალური მთავრობის სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი გრანტების⁸ საპროგნოზო მაჩვენებლის 20 მლნ ლარით ზრდით 90 მლნ ლარამდე, მეორე მხრივ კი საზღვარგარეთიდან მისაღები გრანტების 19.1 მლნ ლარით შემცირებით. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სსიპ-ებიდან მისაღები გრანტების მოცულობის ცვლილება ძირითადად დაკავშირებულია სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების მატებასთან.

სხვა შემოსავლების მუხლთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- **დივიდენდების** საპროგნოზო მაჩვენებელი 149 მლნ ლარით (72.0%-ით) აღემატება წინა პროგნოზს და 356 მლნ ლარს უტოლდება. აღნიშნული გამოწვეულია ეროვნული ბანკის მოგებიდან მისაღები დივიდენდის 156 მლნ ლარით (78%-ით) ზრდით და სახელმწიფო საწარმოებიდან მისაღები დივიდენდების 7 მლნ ლარით შემცირებით;⁹
- **რენტის** საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 50 მლნ ლარით (66.7%-ით) და 25 მლნ ლარს უტოლდება. განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების ლიცენზიებიდან მისაღები შემოსავლების შემცირებით. ცვლილების მასშტაბიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანონპროექტი მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას აღნიშნული მუხლის შემცირების მიზეზების შესახებ;
- **პროცენტის** საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 20 მლნ ლარით (11.1%-ით) და 200 მლნ ლარს დონეზე განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ 8 თვის მდგომარეობით პროცენტის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 171 მლნ ლარი შეადგინა, რაც განახლებული

⁸ 2017 წლიდან სსიპ-ებს, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, დაევალით საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში.


⁹ კლება გამოწვეულია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გადასახდელი დივიდენდის 7 მლნ ლარით შემცირებით. აღნიშნული თანხა კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართა 2021 წლის ბოლოს, რისი ასახვაც 2022 წლის გეგმურ მაჩვენებელში დაგეგმვის ეტაპზე ვერ მოესწრო.

გეგმის 85.6%-ს შეადგენს. მოცემული ტენდენციის გათვალისწინებით კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზი შედარებით კონსერვატულია;

- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** კომპონენტის საპროგნოზო მაჩვენებელი უცვლელადაა შენარჩუნებული 110 მლნ ლარის დონეზე. 8 თვის მდგომარეობით სანქციებიდან ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 85 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 77.3%-ს შეადგენს. მობილიზების არსებული ტენდენციისა და მიმდინარე წლის სექტემბერში პარლამენტის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ჯარიმების გამკაცრება) გათვალისწინებით, სანქციების (ჯარიმები და საურავები) მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი შედარებით კონსერვატულია.

კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 27.5 მლნ ლარით იზრდება **გადასახდელების** გეგმური მაჩვენებელი და 19.7 მლრდ ლარს უტოლდება, რაც 508 მლნ ლარით აღემატება ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულ გეგმას. ზრდა განპირობებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის 27.5 მლნ ლარით¹⁰ მატებით. გადასახდელების სხვა კომპონენტები კანონპროექტის პირველი წარდგენის ანალოგიურია. კერძოდ, ბიუჯეტის მოქმედ კანონთან შედარებით „ხარჯების“ მუხლის დაფინანსება 708 მლნ ლარით იზრდება. „ფინანსური აქტივების ზრდის“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლები კი მცირდება, შესაბამისად, 202 მლნ და 150 მლნ ლარით.

დიაგრამა 6. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (მლნ ლარი).



ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრული 54 მხარჯავი დაწესებულებიდან დაფინანსება ეზრდება 20-ს, მათ შორის, 7 სამინისტროს. სამინისტროებისთვის დამატებით გამოყოფილი თანხის ჯამური ოდენობა 670 მლნ ლარს¹¹ შეადგენს. 167 მლნ ლარით¹² მცირდება საერთო-

¹⁰ აღნიშნული თანხა ემატება შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამას „საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება“ (30 01).

¹¹ ზრდა ძირითადად განპირობებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (27 00) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (31 00) ასიგნებების ზრდით, შესაბამისად, 210 და 150 მლნ ლარით.

¹² მცირდება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის (55 01) და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების (55 13) მოცულობა, შესაბამისად 160

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების დაფინანსება (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში).

რაც შეეხება პროგრამებს, ბიუჯეტის მოქმედი კანონით მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული 128 პროგრამიდან დაფინანსება ეცვლება 30-ს. მათ შორის, 22 პროგრამის შემთხვევაში ასიგნებები მატულობს, ჯამურად 752 მლნ ლარით, ხოლო 8 პროგრამის ასიგნებები მცირდება 80 მლნ ლარით (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

კანონპროექტს თან ახლავს **პროგრამული ბიუჯეტის** დანართი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილების შესახებ. როგორც დანართშია აღნიშნული, დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას იმ პროგრამების შესახებ, რომელთა ბიუჯეტები იცვლება და აღნიშნული ცვლილება გავლენას ახდენს მათ მიზნობრივ მაჩვენებლებზე. 30 პროგრამიდან, რომელთაც წარმოდგენილი პროექტით ეცვლება დაფინანსება, 28-ის შემთხვევაში ბიუჯეტის მოქმედი კანონის პროგრამული დანართით განსაზღვრული აქვს პროგრამის შედეგები და მიზნობრივი მაჩვენებლები. აქედან მხოლოდ 5 პროგრამის შემთხვევაში განხორციელდა მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება. გარკვეულ შემთხვევებში ასიგნებების ცვლილებას შესაძლოა გავლენა არ ჰქონდეს პროგრამის სამიზნე მაჩვენებლებზე, თუმცა საყურადღებოა ცვლილების მასშტაბი. კერძოდ, მიზნობრივი მაჩვენებლების განახლება არ მომხდარა იმ პროგრამების 77.8%-ში, რომელთა ასიგნებების მოცულობა 10%-ით და მეტით იცვლება (დეტალური ინფორმაცია იხ. ცხრილში).

ცხრილი 4. 2022 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ის პროგრამები, რომელთა ასიგნებები 10%-ით ან მეტით იზრდება, მაგრამ არ მომხდარა მათი მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება (მლნ ლარი).

დასახელება	ბიუჯეტის კანონი	კანონის ცვლილების პროექტი	ცვლილება	ცვლილება %
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	483.6	531.5	48.0	10.0%
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	379.9	444.9	65.0	17.1%
მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (25 05)	49.5	33.5	-16.0	-32.4%
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (25 07)	110.0	93.0	-17.0	-15.5%
ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	80.0	110.0	30.0	37.5%
სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	33.7	43.7	10.0	29.7%
თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (29 08)	148.0	168.0	20.0	13.5%
ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 09)	198.4	231.4	33.0	16.6%

და 218 მლნ ლარით. ამასთანავე, 130 მლნ ლარით იზრდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (55 07) დაფინანსება.


ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (32 08)	23.0	12.6	-10.4	-45.1%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)	20.0	4.2	-15.8	-78.9%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 10)	5.0	4.2	-0.9	-17.0%
მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (33 07)	134.9	152.9	18.0	13.3%
კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (33 08)	23.4	48.4	25.0	107.0%

ბიუჯეტის ანგარიშგების ეტაპზე მიღწეული შედეგების სრულყოფილად შეფასებისა და ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაუმჯობესებისათვის, მიზანშეწონილია, პროექტში წარმოდგენილი ფინანსური ცვლილებების შესაბამისად, მხარჯავი უწყებების მიერ სრულად განხორციელდეს პროგრამული ბიუჯეტის ნაწილში მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება.

საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის კანონპროექტს არ ახლავს განახლებული **კაპიტალური პროექტების დანართი**. შესაბამისად, პროექტების დონეზე ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რა მასშტაბის ცვლილებები განიცადა კაპიტალურმა პროექტებმა. ასევე, არ მომხდარა **სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების** შესახებ განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა, რაც ართულებს ცვლილების გავლენის დადგენას საბიუჯეტო ორგანიზაციებზე.

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით (34.5 მლრდ ლარი) 4.7 მლრდ ლარით მცირდება და 29.8 მლრდ ლარს უტოლდება. ვალის ნაშთის საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირება ერთი მხრივ გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებით (ვალის ნაშთი შეამცირა 4.1 მლრდ ლარით), ხოლო მეორე მხრივ ახალი სესხების აღების გეგმის კორექტირებით (ვალის ნაშთი შეამცირა 602 მლნ ლარით).


დიაგრამა 7. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი, %).



სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- 2022 წელს საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტების მოცულობა ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულთან შედარებით 711 მლნ ლარით მცირდება და 2.3 მლრდ ლარს უტოლდება. აღნიშნული განპირობებულია როგორც საინვესტიციო, ასევე ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების შემცირებით, შესაბამისად, 311 მლნ და 400 მლნ ლარით;
- 47 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში იგეგმება ჯამურად 1.5 მლრდ ლარის ოდენობის საგარეო წყაროებიდან მოზიდული საკრედიტო რესურსის ათვისება, რაც 310 მლნ ლარით ნაკლებია ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით. ცვლილების შედეგად ადგილი აქვს 7 პროექტის შეჩერებას ჯამურად 228.9 მლნ ლარით, 2 პროექტს ეზრდება დაფინანსება ჯამურად 18.1 მლნ ლარით, ხოლო 9 პროექტს უმცირდება დაფინანსება ჯამურად 99.7 მლნ ლარით.
ბიუჯეტის კანონის პროექტში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პროექტების შეჩერების/დაფინანსების ცვლილების მიზეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია.
- სახელმწიფო ვალის ჯამური მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები მცირდება 160 მლნ ლარით (3.3 მლრდ ლარამდე). აღნიშნული ცვლილება მთლიანად გამოწვეულია საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის შემცირებით.

დიაგრამა 8. საგარეო კრედიტების დინამიკა მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



დანართები:

დანართი 1. მხარჯავი დაწესებულებები და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, რომელთაც ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით ეცვლებათ დაფინანსება (მლნ ლარი).

დასახელება	ბიუჯეტის კანონი	ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (II წარდგენა)	ცვლილება	ცვლილება (%)
მხარჯავი დაწესებულებები				
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (07 00)	5.0	5.2	0.2	4.0%
სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორების ადმინისტრაციები (11 00 - 19 00)	7.7	8.3	0.6	8.2%
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (20 00)	148.7	150.7	2.0	1.3%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (25 00)	2,895.0	2,975.0	80.0	2.8%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (26 00)	310.6	320.6	10.0	3.2%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (27 00)	6,027.3	6,237.3	210.0	3.5%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (29 00)	1,002.4	1,082.4	80.0	8.0%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)	865.0	962.5	97.5	11.3%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (31 00)	593.1	743.1	150.0	25.3%
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (33 00)	357.8	400.8	43.0	12.0%
სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (43 00)	3.4	3.7	0.2	7.0%
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	10.0	11.3	1.3	13.0%
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (55 00)				
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (55 01)	1,430.0	1,270.0	-160.0	-11.2%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (55 04)	277.0	343.0	66.0	23.8%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (55 07)	300.0	430.0	130.0	43.3%
დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (55 11)	260.0	275.0	15.0	5.8%
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (55 13)	323.9	105.7	-218.3	-67.4%

დანართი 2. პროგრამები, რომელთაც ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით ეცვლებათ დაფინანსება (მლნ ლარი).

პროგრამის დასახელება	ბიუჯეტის კანონი	ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (II წარდგენა)	ცვლილება	ცვლილება (%)
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო				
სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)	22.6	23.7	1.1	4.9%
შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	47.2	45.5	-1.7	-3.6%
ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)	24.6	25.2	0.6	2.4%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო				
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	19.1	19.3	0.2	1.2%
ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17)	1.5	1.3	-0.2	-15.0%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო				
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	483.6	531.5	48.0	9.9%
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	379.9	444.9	65.0	17.1%
მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (25 05)	49.5	33.5	-16.0	-32.4%
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (25 07)	110.0	93.0	-17.0	-15.5%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო				
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (26 02)	193.1	203.1	10.0	5.2%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო				
მოსახლეობის სოციალური დაცვა (27 02)	4,021.2	4,111.4	90.2	2.2%
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03)	1,791.2	1,871.2	80.0	4.5%
შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (27 05)	9.2	49.0	39.8	432.4%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო				
თავდაცვის მართვა (29 01)	392.8	397.8	5.0	1.3%
ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	80.0	110.0	30.0	37.5%
სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	33.7	43.7	10.0	29.7%
თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (29 08)	148.0	168.0	20.0	13.5%
ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 09)	198.4	231.4	33.0	16.6%

საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) (29 10)	18.0	-	-18.0	-100.0%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო				
საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	643.0	690.5	47.5.0	7.4%
სახელმწიფო საზღვრის დაცვა (30 02)	109.3	159.3	50.0	45.8%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (31 03)	84.7	124.7	40.0	47.2%
ერთიანი აგროპროექტი (31 05)	261.7	371.7	110.0	42.0%
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო				
სკოლამდელი და ზოგადი განათლება (32 02)	1,157.4	1,184.4	27.0	2.3%
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (32 08)	23.0	12.6	-10.4	-45.1%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)	20.0	4.2	-15.8	-78.9%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 10)	5.0	4.2	-0.9	-17.0%
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო				
მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (33 07)	134.9	152.9	18.0	13.3%
კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (33 08)	23.4	48.4	25.0	107.0%